სუპერსიჩქარე

მოსწავლეთა წყვილები სიტყვების ნუსხიდან მორიგეობით კითხულობენ თითო სიტყვას ერთი წუთის განმავლობაში.

					⇩		
მოსმენილის გაგება	**ფონოლოგიური უნარები**	**ანბანის ცოდნა**	**სიტყვების დეკოდირება და ცნობა**	**ლექსიკური მარაგი**	**განაფული კითხვა**	**გაგება-გააზრება**	**წერა**

კლასი: III-VI

რესურსი: კლასის შესაბამისი სიტყვების ნუსხა (100 ან 200 სიტყვით).

მუშაობის ფორმა: წყვილები.

მსვლელობა

- მასწავლებელი დააწყვილებს ერთმანეთთან მაღალი და დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებს. შესაძლებელია სამწევრიანი ჯგუფების შექმნაც და გადაუნაწილებს ნომრებს (პირველი - მეორე).
- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეთა წყვილებს სიტყვების წინასწარ შედგენილ სიას და მისცემს რამდენიმე წუთს და გადასახედად.
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეთა წყვილებს, რომ ერთი წუთის განმავლობაში მიმდევრობით, რაც შეიძლება სწრაფად (გაელვებასავით) წაიკითხონ თითო-თითო სიტყვა მოცემული სიიდან. პირველ სიტყვას წაიკითხავს პირველი ნომერი, მეორეს – მეორე, შემდეგს - ისევ პირველი და ასე შემდეგ. თუკი რომელიმე მოსწავლე სიტყვას ვერ ამოიცნობს, მას მიეხმარება მეწყვილე.
- მასწავლებელი ინიშნავს დროს, მისი ამოწურვისთანავე შეაჩერებს ბავშვებს და სთხოვს წყვილებს, რომ ხაზი ჩამოუსვან იმ სიტყვის შემდეგ, რომელიც ბოლოს წაიკითხეს.
- მასწავლებელი თითოეულ წყვილთან ერთად ითვლის მათ მიერ სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას.
- მომდევნო ეტაპზე მასწავლებელი წყვილებს აძლევს შედეგების გაუმჯობესების საშუალებას და სთხოვს, თავიდან დაიწყონ, ოღონდ ამჯერად მეწყვილეები რიგითობას გაცვლიან, ამგვარად, ორივე მოსწავლეს მოუწევს ყველა სიტყვის წაკითხვა.

შენიშვნა:

II-III კლასებში საკმარისია 100-სიტყვიანი სიის შექმნა, ხოლო IV კლასში საჭიროა 150 ან 200-სიტყვიანი სია. მასწავლებელს შეუძლია პირდაპირ აიღოს სიტყვები ქვემოთ მოცემული ხშირი/ცნობადი სიტყვების ნუსხიდან ან ჩაანაცვლოს ზოგიერთი სიტყვა განვლილი ტექსტებიდან.

სიტყვების სია

და, არ, რა, რომ, მე, პატარა, არც, კი, იყო, ძალიან, ერთხელ, ის, დაინახა, მერე, სულ, ერთი, არა, დიდი, თუ, ისევ, დედა, ბიჭი, არის, იცი, უცებ, როგორ, მაგრამ, უნდა, ხარ, ხე, მოდის, აქვს, ეზო, აღარ, ეს, ვარ, ხოჭო, აცვია, ამ, კარგი, აბა, შენ, ერთ, ვერ, მალე, ხომ, უფრო, თქვა, ბებია, დღეს, ხმა, ჰკითხა, ახლა, ვინ, აი, ისე, ბოლოს, მამა, რას, აქ, თავისი, ჩემი, უპასუხა, წყალი, კარგად, მოდი, ხან, იქ, რაც, შენი, კიდევ, ერთად, მას, მივიდა, ნუ, ბევრი, რატომ, ორი, ჩვენ, გზა, მაქვს, წავიდა, ჩემს, დროს, მეორე, კაცი, ან, იქით, აქეთ, ღრუბელი, თავი, სპილო, პური, პაპა, ყველა, ლამაზი, გული, სად, ტყე, ჯერ, ნაძვი, მინდა, ცივა, ცხელა, როცა, ასე, შინ, წვიმა, კატა, ხელი, მზე, ყველი, უთხრა, მეც, შემდეგ, თურმე, ცხოვრობს, ფერადი, მხოლოდ, დილა, თვალი, ყველაზე, იგი, სიტყვა, წინადადება, ეგ, როგორი, იმიტომ, ბაბუა, შემოდგომა, თქვენი, ცოდნა, პირველი, რომელი, შესახებ, მიერ, გინდა, რამდენი, მათ, შენც, ფოთოლი, ტექსტი, ამის, შავი, რის, ზღაპარი, რის, ტკბილი, შვილი, ხილი, მისი, ვის, სხვა, კვლავ, ამოიღო, მოთხრობა, ოქრო, როდის, იდგა, ქუდი, იპოვა, თან, ჰქვია, იმ, მაინც, იცინის, გაიქცა, რაღაც, ქვეშ, ჭრელი, ნახე, ცოტა, მთვარე, ამიტომ, ჩიტი, ჩვენი, მთელი, მაშინ, ასეთი, პეპელა, ახალი, ძველი, საღამო, თაგვი, ყვავილი, კუდი, თამაშობს, ქოლგა, შეიძლება, სახლი, მაგიდა, სკამი, ფეხი, მარტო, აკეთებს, სადაც, მეგობარი, კედელი, ალბათ.